პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტის, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ, профкома и месткома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოდის მეხუთე წელი

№ 10 (146)

ხუთშაბათი 12 აპრილი 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

უნივერსიტეტის კომკავშირული აქტივის კრება

[illegible]

მიმართვა

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირლებისა ქ. თბილისის ყველა კომკავშირელისა და ახალგაზრდისადმი

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის უდიდესი ამოცანები. ამ ისტორიული ყრილობის ყველა გადაწყვეტილება გამომდინარეობს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნვიდან საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ამაღლებაზე. მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ყრილობის მიერ მიღებული დირექტივებით დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული საქართველოს სსრ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი ზრდისათვის, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა, მშრომელები, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, შეხვდნენ რა დიდი აღფრთოვანებით, შრომასა და სწავლაში ახალი წარმატებებით პასუხობენ კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმით დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული ქ. თბილისის კეთილმოწყობისათვის. სხვა დიდ მშენებლობათა რიცხვში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „თბილისის ზღვის" სანაპიროების კეთილმოწყობას და მის ირგვლივ ტყე-პარკის შექმნას. ამ მნიშვნელოვან საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ ჩვენი ქალაქის კომკავშირლებსა და ახალგაზრდობას.

ჩვენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირლებმა, გადავწყვიტეთ ყველაზე უფრო აქტიური მონაწილეობა მივიღოთ თბილისის ზღვის სანაპიროების გარშემო ტყე-პარკის შექმნაში და ამ მიზნით ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. ტყე-პარკის ტერიტორიაზე დავრგოთ 1000 ძირი ნერგი და ვიზრუნოთ მათს გაზრდაზე.

2. „თბილისის ზღვის" ტყე-პარკის ტერიტორიაზე საკუთარი ძალებით ჩავატაროთ ყველა სამუშაო 5 ჰექტარ ფართობზე, ხოლო შემდეგში ზრუნვა გავუწიოთ ამ უბანს.

ვიღებთ რა ამ ვალდებულებებს, ჩვენ მოვუწოდებთ ყველა კომკავშირელს, სკოლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეებს, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, ქალაქ თბილისის ახალგაზრდა მუშებსა და მოსამსახურეებს — მხარი დაუჭირონ ჩვენს წამოწყებას და თვითონაც შეიტანონ საკუთარი წვლილი ჩვენი მშობლიური ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში.

ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად

[illegible]

დოც. ვ. ბუჯაბიძე

სურათზე: ფიზიკის ფაკულტეტის რადიოფიზიკის სპეციალობის III კურსის სტუდენტები რადიოტექნიკაში პრაქტიკული მუშაობის დროს.

საინფორმაციო ცნობა

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

მიმდინარე წლის 5-6 აპრილს გაიმართა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის V პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები: „კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით" (მომხსენებელი — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ნ. შელეპინი).

„კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა მოსკოვში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის მომზადებისა და მოწყობასთან დაკავშირებით" (მომხსენებელი — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ა. რაპოხინი).

განხილულ საკითხებზე საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი.

პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები. ამხ. ვ. ი. კოჩემასოვის სხვა სამუშაოზე გადასვლასთან და ამხ. რ. ტ. აბალოვას სასწავლებლად წასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა ისინი გაათავისუფლა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნებისა და ბიუროს წევრობის მოვალეობისაგან.

პლენუმმა შეავსო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობა. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებად არჩეული არიან ამხ. მ. ფ. დავიდოვი, ნ. ფ. დიხნოვი, ვ. ტ. შუმილოვი. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხ. ვ. ი. ფედოტოვა, ე. კ. ბეგანი, ნ. მ. გაჯიევი, ტ. ნ. ხოკოლოვა.

ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 86-ე წლისთავის აღსანიშნავად

მოსკოვის მშრომელები, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ემზადებიან ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადებიდან 86-ე წლისთავის აღსანიშნავად. [illegible]

სურათზე: სტუდენტთა XVIII სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

სტუდენტთა მე-18 სამეცნიერო კონფერენცია

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული, საქმის კარგი მცოდნე, თავისი ხალხის ერთგული კადრების აღზრდის საქმეში არამცირედი როლი აკისრია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებებს.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებაში არა ერთი და ორი ასეთი ახალგაზრდა მომზადებულა. ეს დიდი ორგანიზაცია (მასში 1150 სტუდენტია გაერთიანებული) წლიდან წლამდე თავისი ნაყოფიერი მუშაობით ხელს უწყობდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა XVIII სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, ერთგვარი შეჯამება-შეფასებაა უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მიერ მთელი წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობისა. ეს ხომ მეცნიერებით დაინტერესებული ჩვენი ახალგაზრდობის საერთო გამოცდაა! ამიტომ ბუნებრივია ის პასუხისმგებლობა, რომლითაც ჩვენი სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლები შეხვდნენ მას.

ფაკულტეტების სტუდენტთა სამეცნიერო წრეებმა, საზოგადოების საბჭომ, კათედრებმა, ჩვენმა პედაგოგებმა XVII კონფერენციის შემდეგ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს. ცალკეული წრეების სხდომათა გარდა, ხშირად ეწყობოდა კონფერენციები, სესიები, მიძღვნილი სხვადასხვა აქტუალური საკითხებისა და ისტორიული თარიღებისადმი. ასეთი იყო რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელიც ჩაატარა მარქსიზმ-ლენინიზმის სტუდენტთა სამეცნიერო წრემ, კონფერენცია — მიძღვნილი დავით გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავისადმი, რომელიც ჩაატარა ქართული ლიტერატურის სტუდენტთა სამეცნიერო წრემ, მიჩურინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელიც ჩაატარა ბიოლოგიის სამეცნიერო წრემ და ბევრი სხვ.

გაიზარდა საქმიანი ურთიერთობა ჩვენი რესპუბლიკისა და მოძმე რესპუბლიკების სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. გახშირდა გამსვლელი სამეცნიერო სესიები, აგრეთვე ჩვენი უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენციები. ამ მხრივ, მისაბაძია გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელიც ყოველწლიურად ხვდება თავის ქუთაისელ მეგობრებს. ბიოლოგიისა და ისტორიის სტუდენტთა სამეცნიერო წრეებმა კი უკვე გადადგეს პრაქტიკული ნაბიჯები, რათა მომავალში მათაც ჩაატარონ ასეთი ღონისძიებები, რაც, უდავოდ, მისასალმებელია.

სტუდენტთა XVIII სამეცნიერო კონფერენციაზე წელს წარმოდგენილ მოხსენებათა რიცხვი 153-ს აღწევს; მათ შორის ბევრია ისეთი, საკითხის აქტუალობით რომ გამოირჩევა, ჩვენს თანამედროვეობას რომ ეხმაურება. მაგ.: „უგამყიდველო ვაჭრობა" (მომხსენებელი ეკონომიური ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი თ. ჯაში), „რადიოტელემექანიკა" (მომხსენებელი ფიზიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი კ. კახელიძე) და სხვ. მიმდინარე სამეცნიერო კონფერენციაზე სხდომები 14 სხვადასხვა სექციაში ჩატარდა. წელს ჩვენს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ბაქოსა და ერევნის უნივერსიტეტების სტუდენტებმა. მათ მოხსენებები წარმოადგინეს მექანიკა-მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, გეოგრაფია-გეოლოგიაში, ბიოლოგიასა და ისტორიაში. აღსანიშნავია, რომ ერევნის უნივერსიტეტის სტუდენტს ელიზა მკრტჩიანს თავის მოხსენების თემად აუღია ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობა XII საუკუნეში. მან ეს მოხსენება ქართულ ენაზე წაუკითხა ჩვენს სტუდენტებს.

თავის მხრივ რიგი ჩვენი სტუდენტებისა მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის სხვა უნივერსიტეტების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში.

დ. ბერძენიშვილი

სურათზე: ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ლ. მაპუტაძე და II კურსის სტუდენტი თ. ქლენტი ერევნელ სტუდენტებს ი. მკრტჩიანს და ლ. ჩილ-ღაპიანს აცნობენ სტუდენტთა XVIII სამეცნიერო კონფერენციაზე წასაკითხ მოხსენებათა თეზისებს.

მოხსენებებს კითხულობენ პირველკურსელები

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, რომლებიც ჩვენს უნივერსიტეტში ტარდება, ყოველწლიურად სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება, როგორც მოხსენებათა თემატიკის მხრივ, ისე მომხსენებელთა შემადგენლობის მხრივაც.

უფროსკურსელებთან ერთად სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე საინტერესო მოხსენებებს კითხულობენ დაბალი კურსების სტუდენტებიც.

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა XVIII სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებებით წარდგნენ პირველკურსელებიც. მათ ეს იმის შედეგად შეძლეს, რომ სწავლის დაწყებიდანვე აქტიურად ჩაებნენ სამეცნიერო წრეების მუშაობაში, და დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობის გარკვეული ჩვევებიც შეიძინეს. ასეთები არიან ბიოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ნ. თოდუა და ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული განყოფილების პირველი კურსის სტუდენტები ლ. სანაკოევა, ს. ცვილევა, რ. კარიმოვა. ამათგან ნ. თოდუამ მოხსენება წაიკითხა თემაზე — „ზოგიერთი მწერიჭამია მცენარე", ლ. სანაკოევამ თემაზე — „მ. ი. ლერმონტოვის პოემების «მწირისა» და «დემონის» იდეურ-მხატვრული პრობლემატიკა", ს. ცვილევამ „ჩეხოვის «ჩაიკა» მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე", ხოლო რ. კარიმოვამ თემაზე — „ნეკრასოვი — პროზაიკოსი".

მიზანს მივაღწიე

ახლოვდება მრავალი წლის წინათ ჩემი ჩანაფიქრის ხორცშესხმის დრო. ჯერ კიდევ საშუალო სასწავლებლის დაბალ კლასებში სწავლისას მრავალჯერ მინატრია ვყოფილიყავი მასწავლებელი, იქნებ იმიტომ, რომ ძალზე მიყვარდნენ და რაღაც ზებუნებრივ ადამიანებად მიმაჩნდნენ ჩემი მასწავლებლები. შემდეგში, პედაგოგიურ სასწავლებელში განვაგრძე სწავლა, სადაც, როგორც ჩემი მასწავლებლები ხშირად აღნიშნავდნენ, გამოვავლინე პედაგოგიური მიდგომის ერთგვარი უნარი. როცა პედაგოგიური სასწავლებელი დავამთავრე, იმის გამო, რომ იმავე წელს არ ვისურვე უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება, ჩემმა მასწავლებლებმა გადაწყვიტეს დავეტოვებინეთ იმავე სასწავლებელთან არსებული საბაზო დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. ეს იყო ჩემთვის დიდი სიხარული...

პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრებიდან 17 წლის გავლის შემდეგ, გადავწყვიტე რა მიმეღო უმაღლესი განათლება, სურვილი საქმედ ვაქციე და აი დღეს უკვე კურსდამთავრებულად ვითვლები. ჩვენი კურსდასრულებულების მიმდინარე განაწილებაზე მე კვლავ პედაგოგიურ მუშაობაზე გავაკეთე არჩევანი. მიხარია, რომ ოცნება საქმედ ვაქციე და უკვე უმაღლესი განათლებით დავუბრუნდები ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, როგორც ფიზიკის მასწავლებელი.

ჩემი მიზანია ნამდვილი პედაგოგიური, გულთბილი და გულისხმიერი მიდგომით, საგნის კარგი ცოდნით ჩემი მოსწავლეების დაინტერესება გამოვიწვიო ფიზიკისადმი, რომელიც მათ ყოველთვის გამოადგებათ თავიანთ პრაქტიკულ მოღვაწეობაში. აღვზარდო ისინი კომუნისტური სულისკვეთებით, ჩვენი დიადი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებად. მის მომავალ მშენებლებად.

მე ჩემი პრაქტიკიდანაც ვიცი, რომ მოსწავლის დაინტერესება ამა თუ იმ საგნით ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ ასწავლის ამ საგანს, როგორ სიყვარულს იმსახურებს მათში ამ საგნის მასწავლებელი. მე ახლა ნამდვილად მწამს, რომ სწორედ ფიზიკის და მათემატიკის მასწავლებლებისადმი დიდი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობა უფრო მეტად საინტერესოსა და საყვარელს ხდიდა ჩემთვის ფიზიკისა და მათემატიკის საგნებს საშუალო სასწავლებელში. და დღესაც ჩემი ყოფილი მასწავლებლები, რომლებიც საშუალო სკოლაში ფიზიკისა და მათემატიკისადმი სიყვარულს მინერგავდნენ, — ათანასე ხარაბაძე და ვალერიან კობახიძე — კვლავაც ჩემს მასწავლებლებად რჩებიან და მათ ხშირად მივმართავ რჩევისათვის.

მოუთმენლად ველი იმ დღეს, როდესაც სრულუფლებიანი მასწავლებელი შევაღებ საკლასო ოთახის კარებს და ამ მოლოდინის სიხარულის გრძნობა, თუმცა თმაში უკვე ჭაღარა შემერია, მაახლოვებს იმ ხანასთან, როდესაც მეც სკოლის მერხიდან ვუსმენდი გაკვეთილს.

ბ. ქორიძე.

მრავალტირაჟიანი გაზეთის 30 წლისთავი

5 აპრილს 30 წელი შეუსრულდა ლენინის ორდენოსანი კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მრავალტირაჟიან გაზეთს — „ტიმირიაზევეცს". მისი პირველი ნომრის გამოსვლიდან.

ჩვენი ქვეყნის ამ უძველესმა სტუდენტურმა გაზეთმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სოფლის მეურნეობის იმ მრავალათასიანი სპეციალისტების აღზრდაში, რომლებიც აკადემიამ მოამზადა. მის ფურცლებზე გაშლილია ფართო მეცნიერული კამათი, ქვეყნდება სტატიები და წერილები, რომლებიც ავლენენ კათედრების, საცდელი სადგურების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

ამ დღეებში რედაქცია მრავალ წერილს ღებულობს. მიღებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ვ. მიცკევიჩის, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრის ვ. ელიუტინის, მწერლების მ. შოლოხოვის, ი. ერენბურგის, კ. პაუსტოვსკის და სხვათა მისალმებები.

30 წლისთავს მიეძღვნა გაზეთის სპეციალური ნომერი, რომელსაც დამატებად თან ერთვის აკადემიის ახალგაზრდა პოეტთა ლექსების კრებული.

საინტერესო მოხსენება

ამასწინათ შედგა ბიოლოგიის ფაკულტეტის ბიოლოგიური სემინარისა და ჰისტოლოგიისა და გენეტიკის კათედრის გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც დოც. გ. პაპალაშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე — „ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელი იდეები მატერიალისტური ბიოლოგიის განვითარებაში".

მომხსენებელმა ფართოდ გააშუქა ლენინის იდეების როლი მატერიალისტური ბუნებისმეტყველების განვითარებაში: ილაპარაკა სიცოცხლის წარმოშობის პრობლემის, სიცოცხლის ისტორიული განვითარების კანონზომიერებისა და სხვ. შესახებ.

მომხსენებელმა ნათელყო, რომ ლენინის იდეებმა მიჩურინის მოძღვრებას ორგანულად დაუკავშირეს პავლოვის მოძღვრება და გადააქციეს ისინი საბჭოთა ბიოლოგიის საფუძვლად. დოც. გ. პაპალაშვილმა ილაპარაკა დარვინის თეორიის ლენინურ შეფასებაზე, იმაზე, თუ რა როლი შეასრულა მიჩურინის თეორიამ ლენინის უშუალო მითითებათა საფუძველზე ცოცხალი ბუნების გარდაქმნის საქმეში. მოხსენებაში განხილულ იქნა აგრეთვე პავლოვის მატერიალისტური ფიზიოლოგიის განვითარება ლენინის იდეების შუქზე.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით დამსწრეთა მიერ წამოჭრილ საკითხებზე მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა. კამათში გამოსულმა პროფესორმა ა. ლეჟავამ მოხსენებას მაღალი შეფასება მისცა.

ქ. ჩევაზიშვილი

სამი ასპირანტის მეგობრობა „საფრთხეშია": — ერთ-ერთი მათგანი შეყვარებულია. ორი დანარჩენი კი გადაწყვეტს, რომ „იხსნან" იგი ამ „უბედურებიდან". დაინახონ, თუ რა „საშინელი" შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის (და, საერთოდ ყველას) დაქორწინებას და მით თავიანთი მეგობრობა „გადაარჩინონ..."

ასე იწყება ვ. დიხოვიჩნის კომედია „საქორწინო მოგზაურობა", რომელიც ამა წლის 25 მარტს წარმოადგინა ჩვენი უნივერსიტეტის რუსულმა დრამატულმა კოლექტივმა.

მაყურებლის მიერ გულთბილად მიღებულ სპექტაკლში მონაწილეობას იღებდნენ ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილების სტუდენტები.

საერთო მოწონება დაიმსახურეს ი. გოლემბევსკიმ (მარკ ბორისის-ძე გრომოვი), დ. კანდელაკმა (პროფესორის ქალიშვილი), გ. სოლდატენკომ (ნასტენკა).

ცალკე უნდა აღინიშნოს ი. ბოგომოლოვის კარგი თამაშის შესახებ, რომელმაც მოხუცი პროფესორის დასამახსოვრებელი სახე შექმნა.

კარგი იყო გ. ფომინა კომენდანტის ცოლის როლში. ხოლო ვ. ფელიამ, ს. ზარვიროვმა და ვ. იშხანოვმა თავიანთი ბუნებრივი თამაშით მაყურებელთა სიმპათია დაიმსახურეს.

პიესის წარმატების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მის რეჟისურაშია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ კომედიაში მოქმედების ადგილი ძალზე შეზღუდულია (საერთო საცხოვრებელი და პროფესორის ოჯახი), ნათელი გახდება, თუ რა ოსტატობა იყო საჭირო იმისათვის, რომ შექმნილიყო ცოცხალი და ბუნებრივი მიზან-სცენები, რომ პიესას უფერულობის დაღი არ დატყობოდა. ეს ამოცანა კარგად გადაჭრა სპექტაკლის დამდგმელმა საქ. სსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. ნ. რუსინოვმა.

რასაკვირველია, სპექტაკლს ნაკლიც გააჩნია: ზოგიერთი მსახიობის თამაშში ჯერ კიდევ იგრძნობა ერთგვარი შეზღუდულობა. ცალკეული მიზანსცენები დახვეწას საჭიროებს, მაგრამ ეს ისეთი ნაკლოვანებებია, რომელთა გამოსწორებაც სისტემატური და დაკვირვებული მუშაობის შედეგად სავსებით შეუძლია ამ ნიჭიერ კოლექტივს.

ა. სანებლიძე

სურათზე: უნივერსიტეტის სტუდენტთა სამკითხველოში სტუდენტები ღებულობენ მათთვის საჭირო წიგნებს.

პროფკავშირული მუშაობა უფრო მაღალ დონეზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე ყოველმხრივ გაშუქდა პროფკავშირების მუშაობა, გამოვლინდა მისი ავი და კარგი.

ყრილობამ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ პროფკავშირული ორგანიზაციები ლირსეულ სიმაღლეზე არა დგანან, მათს მუშაობაში ცოტა როდია ნაკლოვანებანი. ეს ეხება როგორც საწარმოთა, ისე უმაღლეს სასწავლებელთა პროფორგანიზაციებს.

ავიღოთ მაგალითისათვის ჩვენი უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის პროფორგანიზაცია. საერთოდ, სხვა ფაკულტეტებთან შედარებით ბიოლოგიის ფაკულტეტი ცუდად როდი მუშაობს, მას გარკვეული წარმატებები აქვს მოპოვებული, მაგრამ ფაკულტეტის პროფბიუროს ნაკლი აქვს მუშაობაში. აღსანიშნავია, რომ დღემდე ვერ იქნა აღმოფხვრილი პრაქტიკიდან კანცელარიულ-ბიუროკრატიული მეთოდები მუშაობისა. პროფბიურომ ვერ შეძლო აემუშავებინა თავისი დასაყრდენი ბირთვი — პროფჯგუფორგები. მართალია, არიან პროფჯგუფორგები (ნ. ბურდილაძე, ლ. არჩვაძე, ლ. ზვიადაძე), რომლებიც გარკვეულ მუშაობას ატარებენ თავიანთ ჯგუფებში, მაგრამ ამათთან ერთად ისეთებიც არიან, რომლებიც არა თუ არაფერს აკეთებენ, არ ესწრებიან პროფბიუროს სხდომებსაც კი. ასეთ ჯგუფებში მიძინებულია მუშაობა. მაგალითად, პროფჯგუფორგი გივი გორგილაძე თითქოს მოწინავე სტუდენტია, მაგრამ საზოგადოებრივ მუშაობას რატომღაც გაურბის.

პროფჯგუფორგებს მტკიცე კავშირი უნდა ჰქონდეთ კომკავშირის ჯგუფორგებთან, მათთან ერთად უნდა ადგენდნენ გეგმებს, ერთად ატარებდნენ კულტმასობრივ ღონისძიებებს, ერთად აწყობდნენ ჯგუფის კრებებს. კრებებზე უნდა იხილებოდეს ლექციების უმიზეზოდ გამცდენი და აკადემიურად ჩამორჩენილი სტუდენტების საკითხი, დისციპლინის საკითხი, ჯგუფის კრებაზევე შეიძლება მოვაწყოთ მოწინავე სტუდენტების საუბარი მათი მუშაობის გამოცდილებაზე, რაიმე საინტერესო წიგნის ან კინოსურათის განხილვა და სხვ.

ჯგუფში მუშაობის მხრივ ჩვენ შეგვიძლია მივბაძოთ ლომონოსოვის სახელობის ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფჯგუფორგებს. ეს ამხანაგები ყოველთვის ჯგუფშივე წყვეტენ ყველა საჭირბოროტო საკითხს, მაგალითად, ჩამორჩენილი და ლექციების გამცდენი ამხანაგის საკითხს, ყოველგვარ ზომას იღებენ მის გამოსასწორებლად და საჭიროს აღარ ხდიან, რომ ცალკეული სტუდენტის შესახებ საკითხი პროფბიუროს მსჯელობის საგნად იქცეს.

სამწუხაროდ, პროფორგანიზაციას ნაკლები ყურადღება ექცევა. საჭიროა ყოველნაირად ავამაღლოთ მისი როლი და ავტორიტეტი, ამას კი იმით მივაღწევთ, თუ პროფკავშირულ მუშაობას მხოლოდ საწევროების აკრეფით არ შემოვფარგლავთ. მიმდინარე წლის 16 აპრილს ბიოლოგიის ფაკულტეტის პროფბიურო აწყობს საკავშირო XX ყრილობის გადაწყვეტილებებისადმი მიძღვნილ თეორიულ კონფერენციას. ეს ფაქტი ფაკულტეტის პარტიული და კომკავშირული ბიუროებისათვის გასაკვირი გახდა. რატომღაც არსებობს არასწორი შეხედულება, თითქოს ასეთი ღონისძიებების ჩატარება მარტო კომკავშირის ორგანიზაციის საქმეა... კომკავშირისა და პროფკავშირის ორგანიზაციებმა მჭიდროდ უნდა იმუშაონ და ყოველმხრივ დაეხმარონ დეკანატს სტუდენტთა ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში, რაიმე საინტერესო. ადმინისტრაციის ... ღონისძიების ჩატარებაში.

აღსანიშნავია, რომ ფაბრიკა-ქარხნებში და საწარმოებში პროფკავშირის ბიუროებს მეტი უფლებები აქვთ, მათ თავიანთი წინადადებები შეაქვთ უკეთესი წარმატებების მისაღწევად, დასახულ ამოცანათა უკეთ გადასაჭრელად, ზრუნავენ მშრომელთა მატერიალური დონის ამაღლებისათვის და სხვ. ჩვენთან კი ასეთი პრაქტიკა თითქმის არ არსებობს. მესამე კურსზე სპეციალობებად გაყოფის დროს სტუდენტებმა ჯ—ძ და ც—მ, რომლებიც მათი სურვილის გაუთვალისწინებლად მოხვდნენ სხვა სპეციალობებზე, მიმართეს პროფბიუროს თხოვნით, ეშუამდგომლებინა დეკანატის წინაშე, რათა დაკმაყოფილებულიყო მათი თხოვნა სასურველ სპეციალობაზე მოხვედრის შესახებ. როცა ასეთი შუამდგომლობა აღძრა და არსებობდა რეალური შესაძლებლობა მათი სამართლიანი თხოვნის დაკმაყოფილებისა, დეკანს საწყენად დარჩა, რომ პროფორგანიზაცია „ერევა მის ფუნქციებში".

აღსანიშნავია, რომ ბიოლოგიის ფაკულტეტზე დიდი ხანია, რაც საკმაოდ განმტკიცებულია დისციპლინა და წესრიგის დარღვევის რაიმე სერიოზულ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. ეს მოწმობს იმას, რომ იდეურ-პოლიტიკური მუშაობა ფაკულტეტზე საკმაო სიმაღლეზე დგას და ამაში გარდა დეკანატისა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციებისა, გარკვეული წვლილი პროფორგანიზაციასაც მიუძღვის. პროფბიუროს სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის კომისია სისტემატურად ამოწმებს სტუდენტთა დასწრება-მონაწილეობის საკითხს ლექციებზე და კერძოდ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ლექცია-სემინარებზე, ატარებს საუბრებს ჩამორჩენილ სტუდენტებთან. ცალკეულ შემთხვევაში ასეთ სტუდენტს პროფბიუროს სხდომაზეც გამოვიძახებთ, გავესაუბრებით და ასე საჭირო ზომებს ვიღებთ მათს გამოსასწორებლად.

საჭიროა პროფორგანიზაციამ დროზე გამოასწოროს მის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, გადაიტანოს მუშაობის სიმძიმე აკადემიურ ჯგუფებში — მასებთან ახლოს, მეტი დარაზმულობითა და ოპერატიულობით უპასუხოს სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და ამ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეს.

რ. ეორდანია,

ბიოლოგიის ფაკულტეტის პროფბიუროს თავმჯდომარე

მოსკოვში — საწარმოო ექსკურსიაზე

ჟურნალისტიკის განყოფილების მეხუთე კურსის სტუდენტები 31 კაცის შემადგენლობით საწარმოო პრაქტიკის დამთავრების შემდეგ მოსკოვს გავემგზავრეთ. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ჩვენ დავათვალიერეთ მისი ღირსშესანიშნაობანი და, რაც მთავარია, საწარმოო ექსკურსიის გეგმით გათვალისწინებული ობიექტები.

მიუხედავად თვით მოსკოველებისთვისაც უჩვეულო ყინვებისა, დედაქალაქში ყოფნის ხანმოკლე პერიოდი ჩვენმა ჯგუფმა ნაყოფიერად გამოიყენა: დავათვალიერეთ კრემლი თავისი უძველესი ძეგლებით, ვიყავით ლენინისა და სტალინის მავზოლეუმში; ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა რუსული ფერწერის შედევრებმა ტრეტიაკოვის გალერეაში; დაღლა არ გვიგრძვნია არც ფრანგული ხელოვნების ნიმუშების გამოფენის საკმაოდ ხანგრძლივი დათვალიერებისას; ვეწვიეთ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის ახალ შენობას ლენინის გორაკებზე, ვნახეთ უნივერსიტეტის დიდი და ნათელი აუდიტორიები, საქტო დარბაზი და კლუბი 1 500 მაყურებლისათვის, ზამთრის საცურაო აუზი და სპორტული დარბაზები. უნივერსიტეტის ოცდამერვე სართულიდან გადავხედეთ თოვლის საბანში გახვეულ დედაქალაქს; ერთ-ერთ ვესტიბიულში ჩვეული სიდინჯით შეგვეგება ჩვენი დიდებული მგოსნის რუსთაველის ბიუსტი; დავათვალიერეთ მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. ჩვენზე მარად დაუვიწყარი შთაბეჭდილება დასტოვეს დედაქალაქის ფართო და ხალხმრავალმა ქუჩებმა და გამზირებმა — თავისი მრავალსართულიანი შენობებით, ხშირი მოედნებით, ტრანსპორტის სიმრავლით, კოხტა სკვერებით, ბაღებითა და ხეივნებით. ყველაზე საინტერესო კი მაინც მოსკოვის მეტრო იყო თავისი თვალწარმტაცი და მუქმრავალი სადგურებით.

მაგრამ განსაკუთრებით სასიხარულო და საქმიანი იყო ჩვენთვის გაზეთ „პრავდის" რედაქციისა და სტამბის დათვალიერება. აქ ჩვენ საშუალება მოგვეცა გავცნობოდით საბჭოთა ქვეყნის უდიდესი რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მუშაობას. რედაქციის მისაღებ დარბაზში ჩვენ საუბარი ჩაგვიტარა „პრავდის" სარედაქციო კოლეგიის წევრმა და პასუხისმგებელმა მდივანმა ს. სელიუკმა. იგი ორი საათის განმავლობაში მეტად შინაარსიანად გვიამბობდა რედაქციის სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ. შემდეგ პასუხი გასცა ჩვენს შეკითხვებს. იქ ჩვენ ბევრი ახალი და საყურადღებო რამ გავიგეთ: გაზეთ „პრავდის" რედაქციის სამუშაო დღე ყოველდღიურად 3 საათზე იწყება სარედაქციო კოლეგიის სხდომით. სხდომა 15-მდე წუთს გრძელდება, დაიგეგმება მორიგი ნომერი და იწყება მასალების აწყობა. გაზეთი ჩვეულებრივად მზად არის ღამის 12 საათისათვის. ყოველ ნომერზე მორიგეობს რედაქციის 40 თანამშრომელი. ამჟამად გაზეთის რედაქციაში შექმნილია ორი სამდივნო: მიმდინარე ნომერზე მუშაობს ერთი მათგანი, მეორე კი ხვალინდელ ნომერს ამზადებს. რედაქციას ჰყავს 30 კორესპონდენტი საზღვარგარეთ. გაზეთის ტირაჟი რამდენიმე მილიონ ცალს აღწევს, აქედან ნახევარზე მეტი იბეჭდება ადგილზე, დანარჩენი კი უმეტესად რესპუბლიკების დედაქალაქებში და მნიშვნელოვან ცენტრებში. არსებობს მეცნიერებისა და ტექნიკის მონაცემები იმის შესახებ, რომ მომავალში გაზეთის აწყობა პარალელურად ხდებოდეს რამდენიმე ადგილას და ერთდროულად გამოვიდეს „პრავდა", მაგალითად, კიევში, მოსკოვსა და ვლადივოსტოკში.

ჯგუფმა დიდი ყურადღებით დაათვალიერა გაზეთ „პრავდის" სტამბა. აქ ყველაფერი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი. ლინოტიპების რიგებით სავსე უზარმაზარ საამქროებში ადამიანთა შესამჩნევი სიმცირე იგრძნობა, მანქანა ასრულებს უმეტეს სამუშაოს. ქურნალების აკინძვა, მათი შეკვრა და თვით ქუჩაში მდგარ მანქანებში ჩაწყობაც კი ადამიანის ჩაურევლად ხდება. აქ მუშაობს სპეციალური ელექტროდანადგარი, რომელიც აღრიცხავს რედაქციის განყოფილებათა მიერ სტამბისათვის მასალის ჩაბარების ზუსტ დროს; მასალის ოდნავი დაგვიანების შემთხვევაში ელექტროსათური აღნიშნავს ამას და სარედაქციო კოლეგიას უმალვე ეცნობება დაგვიანების შესახებ. ჩვენ დავათვალიერეთ ფერადი სურათის ცინკოგრაფია, სადაც დიდის სიზუსტით ხდება ფერწერის ნიმუშებისა და ფერადი ფოტო-სურათების გადატანა ქაღალდებზე. გარდა გაზეთ „პრავდისა" ამ სტამბაში იბეჭდება სხვა საკავშირო და ადგილობრივი გაზეთები, გამომცემლობა „პრავდის" მიერ გამოცემული ყველა ქურნალი და წიგნი, იბეჭდება მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე — ესპანურად და კორეულად, ინგლისურად და ჩინურად, პოლონურად და ფრანგულად... ჩვენ დიდი ყურადღებით ვათვალიერებდით სტამბის ყოველ კუთხეს, ინტერესით ვუსმენდით თანამხლები პირის განმარტებებს და დიდხანს ვჩერდებოდით მანქანებთან.

მოსკოვში ყოფნისას ჩვენი ჯგუფი შეხვდა ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქურნალისტიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს. ეს შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევდა. მოსკოვის უნივერსიტეტის ქურნალისტიკის განყოფილება და შემდეგ ფაკულტეტი შედარებით დიდი ხანია არსებობს. მათ მუშაობის მეტი გამოცდილება აქვთ და ჩვენთვის ბევრი სასარგებლო რჩევის მოცემა შეუძლიათ. მოსკოველებმა ჩვენ მიგვიწვიეს ფაკულტეტის მრგვალ დარბაზში. ჩვენთვის საინტერესო საუბარი ჩაგვიტარა ქურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანმა დოც. ე. ხუდიაკოვმა. ჩვენ მას მრავალი შეკითხვა მივეცით. გვიპასუხეს ფაკულტეტის ლექტორებმა და სტუდენტებმაც. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ჩვენი ექსკურსიის ხელმძღვანელი დოც. ტ. კვანჭილაშვილი, რომელმაც შეკრებილთ მოუთხრო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქურნალისტიკის განყოფილების მუშაობის შესახებ.

მოსკოვის უნივერსიტეტში ქურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლება უფრო მეტად სპეციალიზებულია. სასწავლო პროგრამა განტვირთულია ზედმეტი და არასავალდებულო საგნებისაგან, ისეთი საგნებისაგან, რომელიც პირდაპირ კავშირში არ არის მომავალი ქურნალისტის საქმიანობასთან. ფაკულტეტზე მუშაობს 5 კათედრა და რამდენიმე კაბინეტი. კაბინეტებში მოწყობილია გამოფენები კომუნისტური და საბჭოთა პრესის ისტორიიდან, რუსული და საზღვარგარეთის ქურნალისტიკის ისტორიიდან. არსებობს აზრი, რომ მომავალში ფაკულტეტს ჰქონდეს საკუთარი მრავალტირაჟიანი გაზეთი.

ჩვენ გვანახეს გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვას" სპეციალური ნომერი, რომელიც მთლიანად მომზადებულ და გამოცემულ იქნა მოსკოვის უნივერსიტეტის ქურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ. ფაკულტეტზე სწავლობს 60-მდე სტუდენტი სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან, საბჭოთა პრესის 500-მდე მუშაკი დაუსწრებლად ეუფლება ქურნალისტის სპეციალობას. დიდი დრო ეთმობა სპეციალური საგნების შესწავლას. ცალკე ტარდება სპეცსემინარები. იკითხება სოფლის მეურნეობის აგროტექნიკის, ზოოტექნიკისა და მექანიზაციის საკითხები. ცალკე იმეცნებენ სტუდენტები ლექციებს პაბლიოგრაფიაში, ფოტორეპორტაჟში და სხვ. II კურსიდან ყოველწლიურად ტარდება საწარმოო პრაქტიკა. ფაკულტეტის მრგვალ დარბაზში მოთავსებულია საბჭოთა კავშირის დიდი რუკა. მასზე პატარა ნათურებით არის აღნიშნული ცენტრები, სადაც საწარმოო პრაქტიკას გადიან აქ მოსწავლე მომავალი ქურნალისტები. ეს ნათურები ანათებენ რიგიდან ვლადივოსტოკამდე და ერევნიდან არხანგელსკამდე. ამავე დარბაზში მოწყობილია გამოფენა იმ მასალებისა, რომლებიც სტუდენტებს გამოუქვეყნებიათ სხვადასხვა გაზეთებსა და ქურნალებში. კარგი იქნება, რომ ასეთი გამოფენა ჩვენთანაც ეწყობოდეს.

საწარმოო ექსკურსია მოსკოვში საქმიანად ჩატარდა. სასურველია, რომ ეს კარგი წამოწყება ჩვენს განყოფილებაზე ტრადიციად იქცეს. გაზეთ „პრავდის" რედაქციასა და სტამბაში, აგრეთვე მოსკოვის უნივერსიტეტის ქურნალისტიკის ფაკულტეტზე მიღებული შთაბეჭდილება და გამოცდილება ჩვენ დაგვეხმარება სპეციალობის ღრმად და საფუძვლიანად დაუფლებაში.

ვ. ჯაბახაძე

ახალი წიგნები

ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა და უკვე იყიდება ბაზარზე შემდეგი წიგნები:

1. **ა. შანიძე** — ქართული ენის გრამატიკა, I, მორფოლოგია. წიგნის რედაქტორია ქ. თევზაძე, შეიცავს 08+330 გვერდს, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 15 მან. და 30 კაპ.

2. **ალ. ფირცხალაიშვილი**—რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. წიგნის რედაქტორია შ. ალექსიძე, შეიცავს 126 გვერდს, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 5 მან. და 35 კაპ.

3. **ალ. ლეჟავა** — ზოგადი მიკრობიოლოგია. წიგნის რედაქტორია ვ. ყიფშიძე. შეიცავს 164 გვერდს, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 6 მან. და 50 კაპ.

4. **ბ. ხარაზიშვილი** — კრიმინალისტიკა, განსაკუთრებული ნაწილი. დანაშაულთა ცალკეული სახეების გახსნის მეთოდიკა. წიგნი, რომლის რედაქტორია გ. ფურცხვანიძე, შეიცავს 158 გვერდს და ღირს 8 მან. და 70 კაპ.

დიპლომანტები მუშაობენ წარმოების კონკრეტულ საკითხებზე

ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის ძლიერ საჭიროა და აუცილებელიც, რომ ისეთი სპეციალისტები, როგორიც არიან ეკონომისტები, ახლოს იდგნენ წარმოებასთან. როდესაც სწავლების პერიოდში უშუალო კონტაქტი არის დამყარებული ეკონომიკის დარგებთან, ეს უტყუარად მნიშვნელოვან დადებით შედეგს იძლევა. სტუდენტებისათვის წარმოების გაცნობის ერთ-ერთ ფორმად მიღებულია სტუდენტთა მიერ სადიპლომო და საკურსო შრომების დამუშავება კონკრეტული ეკონომიკის საკითხებზე. ეს სასარგებლო პრაქტიკა უკანასკნელ დროს ფართოდ ინერგება ჩვენი უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე.

წელს ამ ფაკულტეტს 113 სტუდენტი ამთავრებს. დიპლომანტთა დიდ უმრავლესობას აღებული აქვს კონკრეტული საკითხები ჩვენი სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის ეკონომიკის, ფინანსებისა და კრედიტის, საბუღალტრო აღრიცხვისა და საქონელმცოდნეობის საკითხებზე. ლეილა მაჭავარია ამუშავებს თემას: „მრეწველობის საბრუნავ საშუალებათა ნორმირება და დაგეგმვა თბილისის „თამბაქოს № 1 ფაბრიკის მაგალითზე"; გიორგი ნუცუბიძემ აირჩია თემა: „დარგებისა და კულტურების შეთანაწყობის პრინციპები თბილისის გარეუბნის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მიხედვით", სოკრატ ნოზაძემ — „კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობის ანალიზი ქარელის რაიონის „გამარჯვების" სახელობის კოლმეურნეობის მიხედვით", გაიოზ ქობლიანიძემ — „მეხილეობა გორის რაიონში და მისი განვითარების პერსპექტივები", ავთანდილ კოპალაძემ — „თბილმრეწვვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ანალიზი". ასევე კონკრეტული თემები აქვს აღებული ბევრ სხვა მეხუთეკურსელსაც.

დიპლომანტები სადიპლომო შრომისათვის მუშაობენ რა წარმოების კონკრეტულ საკითხებზე, ისინი ამ შრომებში ანალიზს უკეთებენ მათ მიერ აღებული საწარმოს მუშაობას. წარმოების ეკონომიური მაჩვენებლების გაცნობით და გაანალიზებით მათ თავიანთ შრომებში თავი მოუყარეს მეტად მნიშვნელოვან მასალას. შრომებში ფართოდ არის განხილული აღებული ობიექტის მუშაობის კარგი მხარეები, გარჩეულია და დასაბუთებული ნაკლოვანებანიც. გამოთქმულია მოსაზრებანი და წინადადებანი მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. უნდა ითქვას, რომ ეს წინადადებანი ხშირად მეტად საყურადღებოა. ასე, მაგალითად, ს. ნოზაძეს გამოთქმული და დასაბუთებული აქვს თავისი მოსაზრება ქარელის რაიონის „გამარჯვების" სახელობის კოლმეურნეობის სამეურნეო-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ, ა. კოპალაძეს — თბილისის სავაჭროებში საცალო საქონელბრუნვის გაუმჯობესების საკითხებზე და სხვ.

სტუდენტთა სადიპლომო შრომები ფართოდ ეხმაურებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისა და სკკპ ცკ პლენუმების გადაწყვეტილებებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ. საკითხები დაყენებული და განხილულია პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შუქზე.

განზრახულია იმ სადიპლომო შრომების დაცვა, რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტული საწარმოს, საბჭოთა მეურნეობის თუ კოლმეურნეობის მაგალითზეა დაწერილი, მოხდეს თვით ობიექტზე. ეს აუცილებლად კარგი განზრახვაა. ასე კეთდებოდა ეს წინა წლებშიც და, როგორც ვიცით, მან კარგი შედეგი მოგვცა.

ეკონომიური ფაკულტეტის დეკანატი და შესაბამისი კათედრები ყოველმხრივ ცდილობენ დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარდეს სადიპლომო შრომების დაცვა და ამისათვის სათანადო დახმარებასაც უწევენ სტუდენტებს.

აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სადიპლომო შრომების მომზადების საკითხი ახლახან განიხილა ფაკულტეტის ალკკ ბიურომ. მაგრამ ჩანს, ბიურო საკითხის განხილვას ფორმალურად მიუდგა, ვალის მოხდის მიზნით. მაშ რაზე მეტყველებს, თუ არა ამაზე, ის ფაქტი, რომ ბიუროს სხდომაზე პირველი მარტის ცნობები გამოიტანეს და ჩამორჩენილებად ისეთი სტუდენტები (ვ. ვოლოშინი, თ. ბენდიანიშვილი და სხვ.), დაასახელეს, რომელთაც სადიპლომო შრომების დაწერა უკვე დაამთავრეს.

ასეთი ფორმალობით ალკკ ბიურო შორს ვერ წავა. მან საჭიროა მეტი ქმედითობა გამოიჩინოს მაღალი აკადემიური წარმატებისათვის სტუდენტთა დარაზმვის საქმეში.

გ. მალაშხია

სპარტაკიადა დამთავრდა

დამთავრდა ქ. თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სპარტაკიადა.

უნივერსიტეტის მოცურავეთა გუნდი მთელი შესაძლებლობით გამოვიდა სპარტაკიადაზე. მიუხედავად ამისა, მან მე-4 ადგილი დაიკავა. აღნიშნულ გუნდში მონაწილეობას ღებდა უნივერსიტეტის რეკორდსმენი თ. ორბელი. მან, მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრების პერიოდში ახალი ნავადმყოფარი იყო, მაინც მიიღო მონაწილეობა შეჯიბრებაში და დაიცვა მისი სპორტული კოლექტივის ღირსება. მაგრამ ყველა როდი მოიქცა ასე. თ. ორბელის მაგალითს იმით უპასუხა ფიზიკის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა მოცურავე ნ. მეტრეველმა, რომ უკვალოდ დაიკარგა შეჯიბრების დღეს. მეტრეველის უპასუხისმგებლობის შესახებ ბევრჯერ იმსჯელეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრამ და უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტმა, მაგრამ მეტრეველი ძველებურად განაგრძობს უდისციპლინობას.

სპარტაკიადაზე IV ადგილი დაიკავეს უნივერსიტეტის ჩოგბურთელებმაც. ფარიკაობაში პირველი ადგილის დაკავების ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა უნივერსიტეტის ნაკრებ გუნდს, ვინაიდან შეჯიბრების პირველ დღეს ჩვენი მოფარიკავე ქალები მესამე ადგილზე აღმოჩნდნენ.

ვაჟებმა მე-2 ადგილი დაიკავეს როგორც რაპირაში, ისე ესპადრონში. ესპადრონში ჩვენი გუნდი გამოდიოდა შემდეგი შემადგენლობით: ზ. ბილანიშვილი (ფილოლოგიის ფაკულტეტი), ჯ. მაჭავარიანი, (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი), ბ. ხიხინაძე (ეკონომიური ფაკულტეტი); რაპირაში კი გ. ხხაიძე (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი), ა. გობრონიძე (ეკონომიური ფაკულტეტი), ზ. სამსონია (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი).

ვაჟი და ქალი მოფარიკავეების მიერ დაგროვილი ქულების შეჯამების შემდეგ უნივერსიტეტის მოფარიკავეთა კოლექტივი მე-2 ადგილზე გამოვიდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეჯიბრებაზე ჩვენს მოფარიკავეთა გუნდს უკეთესი მაჩვენებლების მიღწევა შეეძლო, რომ მის რიგებში ყოფილიყვნენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოფარიკავეები: რ. ცირეკიძე და ჯ. ზენაიშვილი, რომლებიც ჩვენი სტუდენტები არიან. მათ ამ შეჯიბრებაზე მონაწილეობის მიღება ვერ შეძლეს იმის გამო, რომ ამ პერიოდში სხვა სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ.

ფარიკაობაში საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა.

სპარტაკიადა დაუმარცხებლად ჩაატარეს უნივერსიტეტის ვაჟმა კალათბურთელებმა. მათ გაიმარჯვეს ზოოვეტერინარული და სამედიცინო ინსტიტუტების ნაკრებ გუნდებთან, ხოლო ფინალში — სპორტულად დაძაბულ და საინტერესო ბრძოლაში — ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრებ გუნდთანაც.

პირველ შეხვედრაში წარუმატებლობა ხვდათ უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალებს. მათ 6 ქულით წააგეს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდთან. მეორე შეხვედრა ჩაატარეს სამედიცინო ინსტიტუტის ნაკრებთან და მოიგეს დიდი ანგარიშით. ქალი კალათბურთელები მე-3 ადგილზე არიან.

მოულოდნელი არ იყო ვაჟ ფრენბურთელთა წარუმატებლობა. აღნიშნული გუნდი ცუდად ემზადებოდა შეჯიბრებისათვის და ამის შედეგად მე-5 ადგილზე გამოვიდა. შედარებით უკეთესი შედეგები უჩვენა ჩვენმა ფრენბურთელ ქალთა გუნდმა, რომელმაც მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა.

უამინდობის გამო დიდხანს გაჭიანურდა მძლეოსანთა შეჯიბრება. სპორტის ამ სახეობაში ჩვენმა გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა. დაბრკოლებებით წინაღობათა ზოლის გადალახვაში 3000 მეტრზე პირველ ადგილზე გამოვიდა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გ. გოდერძიშვილი. 1500 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიკავა ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტმა პ. მაისურაძემ, ხოლო ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა ს. შახოვამ ყველას აჯობა 800 მეტრზე რბენაში.

კოლექტიურობა და შეჯიბრებისათვის მზადყოფნა გვიჩვენეს ჩვენმა ველოსიპედისტებმა; მათ დაამარცხეს ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების ძლიერი კოლექტივები და ქალაქის უმაღლეს სასწავლებლების 1956 წლის ჩემპიონობა მოიპოვეს. ქალ ველოსიპედისტთა შორის ამ შეჯიბრებაზე უნივერსიტეტის სპორტულ ღირსებას იცავდნენ ქ. თოფურიძე, ე. ჰეჭინაძე, ი. ბეიერი და მ. მდივნიშვილი; ვაჟთა გუნდის შემადგენლობა ასეთია: რ. ინდუაშვილი, გ. აზაროვი, ე. ჯიმშელეიშვილი და თ. ოდილავაძე.

ვ. კასრაძე



სურათზე: უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის წევრი, პირველთანრიგოსანი ბ. გიორგობიანი ასრულებს ალმატრიალს ძელზე.

ჩემპიონები

ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში ჩატარდა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში.

პირველობისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ ჩვენი უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, ფიზკულტურისა და სხვა ინსტიტუტების ტანმოვარჯიშეთა ძლიერი კოლექტივები.

უნივერსიტეტის სპორტულ ღირსებას იცავდნენ სპორტის ოსტატის ნორმატივებზე მომუშავე ტანმოვარჯიშეები — ო. ქორქია, ზ. გვეტაძე, ა. ნარიმანოვი, ნ. გაგოშიძე, დ. პერტენავა, ლ. გელუკაშვილი, ვ. კლიმოვა, შ. ცნობილაძე, ნ. კახრელიშვილი და ლ. ელენტი, აგრეთვე პირველი და მეორე თანრიგის ნორმატივებზე მომუშავე სპორტსმენები.

აღსანიშნავია ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენის, ეკონომიური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტის ბ. გიორგობიანის (მწვრთნელი ნ. ბახუტაშვილი) წარმატება, რომელმაც წელს მოიპოვა თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და საქართველოს სსრ ჩემპიონის წოდება პირველ თანრიგოსან სპორტსმენთა შორის.

შეჯიბრების პირველი დღიდანვე დაწინაურდნენ ჩვენი უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეები, რომლებმაც ბოლომდე შეინარჩუნეს წარმატება და დამსახურებულად მოიპოვეს ქ. თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ჩემპიონის საპატიო წოდება. მეორე ადგილზე გამოვიდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეთა გუნდი, რომელიც 90 ქულით ჩამორჩა ჩემპიონს.

უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეების ეს მეორე დიდი გამარჯვებაა მიმდინარე წელს. მათ მას მიაღწიეს სისტემატური წვრთნის შედეგად. ამ მიმართულებით ნაყოფიერად მუშაობენ მწვრთნელები ა. ფხაკაძე, ნ. ბახუტაშვილი და ს. ბურჯანაძე.

ამჟამად ჩვენი ტანმოვარჯიშეების წინაშე დგას მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა — მაღალი სპორტული მაჩვენებლებით შეხვდნენ საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებს და თავიანთი მიღწევებით ასახელონ მშობლიური უნივერსიტეტი.

დ. პერტენავა

ჭადრაკი

უნივერსიტეტის პირველობაზე

ნახევარფინალური შეჯიბრების შემდეგ დაიწყო და მიმდინარეობს ფინალური შეჯიბრებანი უნივერსიტეტის პირველობაზე ჭადრაკში, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის.

ფინალში ვაჟთა შორის მონაწილეობენ ნახევარფინალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულები: პირველთანრიგოსნები — ვ. ნეიძე (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ.) და ლ. ქარცივაძე (ისტორიის ფაკ.), მეორეთანრიგოსნები — ე. კვეზერელი (ქიმიის ფაკ.), ი. პეტრიაშვილი და გ. ფუქიალაძე (მექანიკა-მათემატიკის ფაკ.), მესამეთანრიგოსნები — ვ. კალანდაძე, თ. გიორხელიძე (მექანიკა-მათემატიკის ფაკ.), ე. გრინბერგი, რ. შავიშვილი (ფილოლოგიის ფაკ.) და ნ. ხაფავა (ისტორიის ფაკ.).

უნდა აღინიშნოს, რომ ი. პეტრიაშვილმა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა თავის ნახევარფინალურ ჯგუფში, I თანრიგის ნორმა შეასრულა, ხოლო ფინალში მონაწილე ყველა მესამეთანრიგოსანმა იმავე ნახევარფინალურ შეჯიბრებაში შეასრულა II თანრიგის ნორმა.

ფინალში დაშვებულია აგრეთვე უნივერსიტეტის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის წევრი პირველთანრიგოსანი ს. ბაჯაძე (ფილოლოგიის ფაკ.).

უკვე ჩატარდა შვიდი ტური. ფინალშიაც კარგად დაიწყო და წარმატებით თამაშობს ი. პეტრიაშვილი. მან შვიდი შეხვედრიდან შვიდივე ქულა მოაგროვა და მტკიცედ ლიდერობს ტურნირს. ფინალში კარგად თამაშობს აგრეთვე პირველთანრიგოსანი ვ. ნეიძე, რომელსაც ოთხი ქულა აქვს ხუთი შესაძლებლიდან. დანარჩენი ადგილები განაწილდება გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ. აღსანიშნავია ე. გრინბერგის წარმატება. იგი გასულ წელს მოვიდა უნივერსიტეტში, როგორც უკვალიფიკაციო მოჭადრაკე. ბეჯითი სწავლასთან ერთად (მან ზამთრის საგამოცდო სესიებზე ფრიადოსნობას მიაღწია) იგი წარმატებით მეცადინეობს უნივერსიტეტის საჭადრაკო სექციაში. ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველობაზე გამართულ ტურნირში მან III თანრიგის ნორმა შეასრულა, საუნივერსიტეტო ნახევარფინალურ შეჯიბრებაში კი II თანრიგისა. ფინალში მას მოგროვილი აქვს 2,5 ქულა ხუთიდან და ორი პარტიაც გადადებული აქვს მოსაგებ მდგომარეობაში.

საინტერესოდ მიმდინარეობს ფინალური შეჯიბრება ქალთა შორის. აქაც 11 მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის — ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე ქალი, პირველთანრიგოსანი ლ. ხაჭაპურიძე (მექანიკა-მათემატიკის ფაკ.).

რვა ტურის შემდეგ 6,5 ქულით პირველ ადგილზეა ქიმიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ზ. ჩანჩალაშვილი. უნდა აღინიშნოს მისი შეხვედრა ლ. ხაჭაპურიძესთან, რომელიც საინტერესო ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა. შემდეგ ადგილებზე მიდიან ლ. ხაჭაპურიძე, ზ. ანთელავა (ისტორიის ფაკ.) და ა. თურქია (ქიმიის ფაკ.), რომელთაც 5,5 ქულა აქვთ შეგროვილი თითოეულს 6 შესაძლებლიდან.

ვ. კალანდაძე

რედაქტორი ირ. ვეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-28-60.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 00248.